

# შინაური ცეკვები.

No 19

შასი ერთი გაური.

წლიური ფასი სამი გან.

წლიწადი გ ე რ თ ხ ე

შოთა-კვირეული გაზეთი.

კ ვ ი რ ა, ვ ი რ ა 1911 წელი.

( ყოველ-კვირეულ გაზეთ )

**შინაური ცეკვები** „ სელის მოწერა მოიღება რე-  
ლაქციაში, ქუთაისში (ჩა-  
ნ. № 17). და თბილისში გამოცემულია სამხსოვი სატარებელი,  
მაგრამ გამოვლილი რობი ნომერი, გვ. ხელის მომზერლებს  
ვოსთვის გამოვლილი რობი ნომერი, გვ. ხელის მომზერლებს  
ვოსთვის ფასი მოვლილი წლის ერთად გამოვლა აქვთ.

ცეკვის ფასი:	ნახ. წლით:	გამოცემან წლის ბოლომდღის
3 პნევო.	2 პნევო.	2 მანეთი და 10 შაური.

აღნიშვნა: ქუთაისი საქმების რელაქცია.

შინაური: 1) მოწინავე ქუთაისი 3 ივლისი 2)  
სიცემა დ. სარაჯიშვილის პანაშვილზე ეპისკოპოსის გი-  
ორგას 3) მოწილება ქუთაისის გუბერნიის მეცნიერთამდი  
4) „ნუ გეშინა“ არჩიმ. ჩესტორის 5) კვირილამ-კვი-  
რალდე. 6) ლოფ. გეგეთი (მაწ. ამბავი) გეგულელისა.  
7) სტორიული დოკუმენტი ი. ჭრილეს სიკედილის  
შესახებ 8) უადგილო ცილის წამება. 9) მაგის რა  
ბრალია მღ. ი. მარგარისა.

ქუთაისი 3 ივლისი.

როგორც საერო უწევებები, ისე  
ჰდველოებაშიც არის მანებელი, რო  
მელინც აშეარათ დაუპერია რომელიმე  
ბიწიერებას—ლოთობას, მეგხებებას და  
სხვ. და სხვ. საერო უწევებები ასეთი პი-  
რები კიდევ ისე შესამჩნევი არ არიან,  
როგორც საძლებელოებები, რადგან ის-  
ზოგადოება სულ სხვა თვალსაზრისით უუ-  
რების უკანასკნელს. საზოგადოების წარ-  
მოდგენით მღვდელი ეკველებარ სათხო-  
ების სისრულეს უნდა წარმოადგენდეს,  
იგი უნდა იქნას ცოცხალი მატარებელი



ქრისტეს თვით უმცირეს ზნეობრივ მცნებისაც. ამიტომაა, რომ ღვდღის მცირეოდენი შეკომა უკელას თვალში ქნირება, ამიტომაა, რომ საზოგადოება ხმირათ არ მიუტევებს მღვდელს იმ დანამაულს, რომლისთვისც სიტყვას არ დასარჯავს სხვა წოდების წარმომადგენელის შესახებ. ასეთი შეხედულობა საზოგადოებისა არც უსაფუძვლოა: ი. ქრისტეს მოდგრების მიხედვით სამღვდელოება მარილია და სახოლი ქვეანისა.

საზოგადოება ისეთი სასტიკია მღვდლის ზნეობრივ დაფასებაშა, რომ ხმირათ ერთი მღვდლის დანამაულს მთელ სამღვდელოებას მოახევს თავზე და ამ ნაირათ ადგენს ცუდ შეხედულებას მთელ სას ელიტორ წილებაზე. რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა გადაჭარბებულიცაა და უსამართლაც, პავრაპ ეოველ შემთხვევაში ჩვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ და შემლებისადგვარათ ვეცადოთ, რომ ჩვენი ზნეობრივი აკტორიტეტი შეზაფერ სიმაღლეზე დამტარებული შევინახოთ. ამისათვის საჭიროა სამღვდელოებამ ოვალუერი ადგნონს შემცოდე წევრთ და თავის დროზე შესძლებოთ ზომები მიღილოს მათ გასასწორებლათ.

სახარება ასეთ წევრების გამასწორებელ სამუალებას წარმოგვიდგენს იქსო ქრისტეს შემდეგ სიტყვებში: „უკეთ მას მან შენმან შეგცოდოს შენ, ამხილე იგი საიდუმლოთ, თუ არ მოიქცეს ამხილე იგი ორთან და სამთან, თუ ამათაც არ დაუკე-

როს, უთხარ კორულსა და უკეთ კრებულისა: არა ისმინოს, იგავნ შენდა ვითარცა ქეზვერე და წარმართ.“ ამ მცნების განსახორციელებელი საშუალებაც ხელთა აქვს სამღვდელოებას. როცა რომელიმე სამღვდელო პარი ცხადათ დაუპურია ბიწიერების, ბლადობინი ვალდებულია ამხილოს მას საიდუმლოთ და მოითხოვოს მისვან გასწორება. თუ უკანასწელი ამ საიდუმლო მნილებას არ დაუკერებს და განაგრძოს ბიწიერ ცხოვრებას, მაშინ მხილება და თავის მომმის გასწორება უნდა მიიღოს თავის თავზე საბლადობინო სამღვდელოების კრებამ, რომელიც ეოველ წლობით უმისოთაც ორჯერ-სამჯერ იკრიბება ხოლმე. თუ დამნამავე ამ კრების მხილებასაც არაფრად ჩაგდებს, მაშინ საქმე მისი გასწორებისა უნდა გადატანილ იქმნას ენარქიის სამღვდელოების წლიურ კრებაზე, რომელსაც ცნობას აძლევს საბლადობინო კრება. ვფიქრობთ ამ უკანასწელის მსჯავრი საკმარისი იქნება, ცოდვილის გასასწორებლათ და თუ არა, კრებამ უნდა მიმართოს სათანადო მართებლობას და მოითხოვოს უდირსი წევრის მღვდელ-მოქმედების აკრძალვა ან სრული გამორიცხვა სასულიერო უწევიდამ.

ასეთი ზომების მიღება შემცოდის გასწორებისათვის დიდ ზნეობრივ გავლენას მოახდენს: არა თუ მარტო სამღვდელოებაზე, არამედ საერო საზოგადოებაზედაც, რომელსაც საბლადოთი აღარ ექნება პერძო პირის დანაშაულობა მოელ სამღვდელო-

ებაზე გადიტანოს და ერთის ჩირქი უველას მოსცხოს განურჩევლაა.

საჭიროთ მიგვაჩნია, სამღვდელოება გამოგეხმაუროს ამ წინადადების შესახებ, რომ უფრო კარგათ გამოირკვეს საქმე.



## სიტყვა

მათი მეუფების უდ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისა,

თქმედი ქუთაისის ხავრებულო ტაძარში დ. ზ. სარაჭაშვილის სულის მთხასხენებულ პანეშვიდზე.

დღეს საქართველოს ძველ დადა-ქალაქ თფილისში, იქ სადაც დიდმა თამარმა იგვირებულია, დიდუბეში, სამშობლო მიწას აბარებენ დავით ზაქარიას ძის სარაჯაშვილის ცხედას. ბედერულმა ერმა კიდევ დაკარგა ერთი უკეთესი თავისი შეილთაგანი.

დავით სარაჯიშვილი იყო ლვითისან ყოველის მხრივ უხვად დაჯილდოვებული. თვისი გარეგნული შეხედულობით იგი იყო მშვენიერი ტიპი, ძველთა ახოვან ქართველთა. მისი პირისახის გამომეტყველობა, თინჯი, წყნარი და გულახლილი მისი მუსაიფი და მსჯელობა, რაზედაც გინდა ყოფილი ეს მსჯელობა, იზიდაფენენ მისკენ მსმენელს და უღვიძებდნენ მისდამი თანაგრძნობას და სიყვარულს. ნეტირ-სენებული დავითი იყო ისეთი ადამიანი, რომლის შესხებ უკიდურესი გვილო გვარდის გარემონტის მიზანი მის მიზანი იყო და მისი შემობლის სიკეთე და მისი შევლა პროგრესიულ წინმავლელობაში. ამნაირ სამშობლის პროგრესისათვის განსცენებული ბურჯებს ეძგდა საქართველოს წარსულ კულტურულ ცხოვრებაში. ამითი უნდა აქსინოთ, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყნის ნაძირალი შვილები ეკალესია-მონასტრების სკარცვავენ და ზოგიერთი ეგრეთ წოდებული უმწვერვალესი მემარცხენენ ქადაგობენ, რომ ეკალესია მონასტრები უნდა დაინგრეს, როგორც სიბნელის მქადაგებელთა ტაძარი, ნეტარხსენებული დავითი აძლევს უზვ შემწეობას — მცხეთის საკათალიკოს ტაძრის შეკეთება განახლებისათვის, ამავე მიზნით შემწეობის ხელს უწვდის მცხეთისავე სამთავისის ემიდა ნინოს დედათა სავაკნის დიდებულ სობოროს, რომელშიაც განისვენებენ ნეტარნი — მირიან და ნანა, პირველნი საქართველოს ქრისტიანი მეფე და დედოფალი. იქვე მოგამონებთ, ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო, შირშან ნაკუროს, თფი-

ცეს და მიუმატოსო“. ისინიც კი, ვისაც ყოველოვანი ენაზე აკერიათ სიტყვა — „ბურუუ“ ერიდებოდნენ ამ სიტყვის ხმარებას, როდესაც ეხებოდნენ დავითის საზოგადო მოღვაწეობას. არ გავაგრძელებ ამ მოღვაწეობაზედ ლაპარაკს. ეს მხარე კეთილშობილი ადამიანის მოქმედებისა მშვენივრად არის დახასიათებული და კიდევ იქნება ამ დღეებში ჩვენებურ უკრნალ-გეზებებში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი მკვლევარი ჩვენი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა უფრო მეტს საქებურს და სადიდებელ ფაქტებს ამოაჩინს ამ პატიოსანი მამლიშვილის ცხოვრებაში. აქამდისინაც, ოც და თის წლის განმავლობაში, ყველა, ვისაც კი ყურთბალიშე არ ეძინა და ცოტად თუ ბევრად ყურს უგდებდა ჩვენი ქვეყნის დასუსტებული მაჯის ცემას, არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ განსცენებული დავითი არ სტოკებდა უყურადღებოდ და შემწეობის აღმოუჩენებულად არც ერთ საერო დაწესებულებას, არც ერთ საზოგადოებას და არც ერთ კერძო პირს, რომელთაც კი ქინდათ თავიათი მოქმედების მიზნად სამშობლის სიკეთე და მისი შევლა პროგრესიულ წინმავლელობაში. ამნაირ სამშობლის პროგრესისათვის განსცენებული ბურჯებს ეძგდა საქართველოს წარსულ კულტურულ ცხოვრებაში. ამითი უნდა აქსინოთ, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყნის ნაძირალი შვილები ეკალესია-მონასტრების სკარცვავენ და ზოგიერთი ეგრეთ წოდებული უმწვერვალესი მემარცხენენ ქადაგობენ, რომ ეკალესია მონასტრები უნდა დაინგრეს, როგორც სიბნელის მქადაგებელთა ტაძარი, ნეტარხსენებული დავითი აძლევს უზვ შემწეობას — მცხეთის საკათალიკოს ტაძრის შეკეთება განახლებისათვის, ამავე მიზნით შემწეობის ხელს უწვდის მცხეთისავე სამთავისის ემიდა ნინოს დედათა სავაკნის დიდებულ სობოროს, რომელშიაც განისვენებენ ნეტარნი — მირიან და ნანა, პირველნი საქართველოს ქრისტიანი მეფე და დედოფალი. იქვე მოგამონებთ, ქრისტეს მოყვარენო მსმენელნო, შირშან ნაკუროს, თფი-

ლისში ძველ საფუძველზედ ახლად აშენებულს ქაშუეთის წმიდის გიორგის ტაძარს, რომლის გეგმაც წარმოადგენს საქართველოს საეკლე-სიო ხუროთმოძღვრების სიამყენს. ამ დივე-ბულ საქმეშიც წილი უძევს დავითს. არ შე-მიძლია ჩამოვთვალო აქ ყველა ის შემწეობა, რომელიც აღმოუჩინა თავის სიცოცხლეში განსვენებულმა თავის სამშობლო ეკულესიას და საეკლესიო განაოლებას. ყველა ამ წმიდა საქმეში, როგორც სხვა კეთილმოქმედებაში, მას ყავდა ერთგული თანამოაზრე და თანა-შშობელი, მისი ძვირფასი მეუღლე, ეკატე-რინე ივანეს ასული, ეს ლვითისაგან ნაკურითხ დედა-ქართველი. მე ივი არა ერთხელ მინახავს ჩემს ბეჭრობაში, „ლვთაებაში“. წმ. ანტონის მანასტერში, ლვთისმშობლის ხატის წინ ხელ-აცყრიბილი მლოცველი. მარიამბის მარხვაში ისევე, იმ დიდებულ მონასტერში, ივი მუხლ-მოდრეკილი იმპერატორის ხოლმე დაუჯდომელი. მონასტრის მცხოვრები, ყველასაგან დავიწყე-ბულნი, ბელნიერად გრძნობდნენ თავინთს თავს, როდესაც კი ლაინახავდნენ თავიანთ საფანეში ქ. ეკატერინეს, რომლის ქველმო-ქმედებას მონასტრისა მათ არა ჰქონდა სა-ლვარი. მონასტრის ახსოვდა ქრისტეს მოყვა-რე ეკატერინეს მშობლები და მისი პაპა ადამ ფორაქაშვილი. ეს ადამი ხომ კარგათ ახსოვთ ძეველ თფილისს სემინარიელებს, როგორც მათი მფარველი და მზრუნველი. თფილისს კა-რგათ ახსოეს თავისი პარიოსანი შეძლებული და ქვედმოქმედი ქართველი მოქალაქენი იდან და შეიღი მისი ივანე ფორაქაშვილები, ღრმა მორწმუნე ქრისტიანენი, მეგობარი ქართველ მღვდელმთავართა და სამშობლოს კეთილ მო-ლვაწეთა. იმ ამათი ლირსეული ასული არის ეკატერინე, ახლად დამტკიცებული მეუღლე დავით სარაჯიშვილის. რა თქმა უნდა, ასეთი ცოლი კემმარიტ ქრისტიანულ მეუღლეობას. გაუწევდა დავითს მის ყველა კეთილ მისწრა-ფებაში. აგრეც იყო. მეუღლენი იყვნენ ერთ სულ და ერთ ხორც.

დავით ზაქარიასძეს, როგორც ნიკიერს და გონება განვითარებულ სამშობლოს მხერ-ვალე მოსიყვარულე შვილს, კარგათ ქონდა გათვალისწინებული მშობელი ერის წარსული,

აწყურ და მომავალი. წარსულში იგი ხედავდა და აფასებდა რომ ერთმა მუქა ხალხმა გაუძლო თას გვარ ბელის მუხთლობას, შეინარჩუნა თავისი ელფერი, სარწმუნოება, ენა და მიწა წყალი მი-ტომ, რომ ეს ერი პირველ ყოვლის იყო ჯვა-რიანი, რომ ჯვარი ქრისტის უღვიძებდა მას გულში სამშობლოსადმი სიყვარულს. აწყურ დავითი უყურებდა როგორც გარდამავალს, როგორც ისტორიულ ხანას, როდესაც ნათ-ლად უნდა იყვეს გამორკვეული მომავალის იღეალები ამ იღეალების მისაღწევ საშუალებათ კი იგი სთვლიდა ახალ თაობათა გონებით განვითარებას და ხალხის, მასის, მატერიალურათ აღო-ნიერებას: ერის მატერიალურად აღორძინების ერთ უკეთეს საშვალებას დავითი ხედავდა აღე-მიცმობის და მრეწველობის განვითარებაში.

ი თავი და თავი მიზეზი იმისი, რომ ევ-რობიულათ განათლებული, ჰერიდელბერის უნივერსიტეტის ქიმიის დაქტორმა დავით სა-რაჯიშვილმა მრეწველობა-აღებ-მცცმობას ჩას-კიდა თავისი კურთხეული მარჯვენა. რა შე-დეგი მოჰყავა ამნაზი მოლვაწეობას — ეს ყველა ჩვენანისათვის დიდი ხანი სანატორიული შეიქნა დავითს რომ ყოველ წლობით თავისი გონიე-რული და წინდახედული მოლვაწეობით მო-ხემილი სიმღიდრიდან ას და ორასი ათასო-ბით კეთილ საქმეებზე არ ეხრჯნა, სხვა მილ-ონებით ოც და ორმოც მილიონის ქრისტიანი დასტუკებდა, მაგრამ მან უფრო უკეთეს ბანქში დასტუკა თავისი სიმღიდრე ეს ბანკი არის მისი მშობელი ხალხი, რომელიც მას თავდავიწყებამ-დინ უყვარდა. ქრისტიანი იყო საშვალება სამშობლოს აღგენისა და ძეველებურად იყვა-ვებისა, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ახალ ის-ტორიულ პირობებში.

ი როგორი ადამიანი, როგორი მოლვაწე დაკარგი სამშობლომ, ი ვის ცხედისა დასტრი-რის დღეს მთელი საქართველო. პირნათლად შესარულა განსვენებულმა თავისი მოვალეობა დავთისა და მამულის წინაშე. ჩვენც შევასრუ-ლოთ ჩემი მოვალეობა მიცვალებულისადმი: შევეველნეთ ქრისტეს ღმერთსა, რათა სული ახლად გარდაცვალებულისა მონისა ლვთისა დავითისა დამკვიდროს, სადაცა საქართვე-ლოს აღურაცხელნი წმიდანი და სამშობლო-სათვის თავდაღებულნი განისვენებენ!



# მოწოდება ქუთაისის გუბერნიის მკვიდრაზე.

ჩემდა სამწევაროთ ჩემდამთ რწმუნებულ გუბერნიის ახალგაზღიანის ემსნევა მარწმუნება, უთველი ღანის ძიებით თავი დაიტაროს სამსედრო სამსახურიაგან, და ამნაირო თავი დასწიოს თოთველ მამა გაცის ისეთ უდიადეს უწმინდეს მოკადების, როგორც არის სამშობლოს დაცვისათვის მშაო უთვენა. ახალგაზღიანის დაუგაზუნია თავის სამშობლო ქვეყნის ისტორია, რომელიც საფსა ამგათ სიმშევნიერის კავკაციის ქვედობით, რომელიც გამოიჩინა წინაპერება სამშობლოს დაცვისა დასცველით, და არაუკას არ უბრთხის, ოდისი არ მოჰყევს რუსის მხედრობათა რაგში, რომელიც ასე თავმოწონებით პატივსცემს მის წინაპერთა—გვაჭილთ სსენაბის, რომელიც უკედა მოის დროს თავის, საკუთარი სისხლით ადგენერეს საპატიო ფურცელი სამხედრო მატორიას. ასე იურ წინეთ როგო თოთველი მამავაცის შექნაბას კაუგაცია და სიმამაც შეადგენდა და როდესაც, შირველ თავის სმაზუდება, კავკასიურება არადში ჯდებოდა, ხოლო სამხედრო სამსახურისგან თავის დაფარებას მიუტევდეს დანაშაულად და სამსარცხისთ სადანერთ სოფლის.

დღეს ერ სალდათობის თავის დასახურისათ რაბადგაზღია უთველ ღანის ძიებას სმარობს, სალდათობას რომ თავი დასწიოს ფეხის ხრავაც არ კრიდებან, რათა სიიდების მეფისა და მამულის უდინს შეიღებას, დარწმუნებულია, რომ ასეთი წინააღმდეგი საქართველოს საქართველოს მედალი და ბრძნების შინ, მაგრამ რა სახით? საცელად ახალგაზღია ლამზე შეიღებისა მშობლების თეისდ საუბედუროთ, დებულობენ ცოცხალისადების, რადგნ არ ერთ სახელის არ შეუძლის ამტანოს ეს ჭავოსეთური სასმელი; მსწარულ მიმდინარე ჭლები, გულის ტეივილი და სოფელი კასრები სსეულის უკედა ნაწილებისა—აა რა მოაქეს ამ სასმელის მიღების კაც დწება, რა-

საქმე მსოდლოდ დროის რაოდენობაშია. არ უნდა დაკიანულო ისიც, რომ განთვისუფლებული მდიდრის მარიერ დარიბი მიყავთ, რომელსაც შეიძლება შეღაბათიც რამე აქას, რადგან უოკელია გუბერნიამ სალდათების განსაზღვრული რიცსევი უნდა გამოიყენოს, და აა მშობლები, ამ დარიბი სალდათია, რომლის წასვლა იქნება საულიად ანადგურებს მათ ოჯახთანის, უოველოვის ეცდებან გამოამედავსნონ მათ თავზე მოსული უსამართლოს და უკანონ საქცეველი მაშინი? უკუდიც დაგვარგა, დასკალიც შეიქნება ჭრობის კალებისთვის და კარგი უნდა ისახურო.

ხოდი იყინი, რომდებაც უკმა სამსახურშია არან, სიდიდელები სალდათობისაგან თავის დახმარებას ვიზიონდარა მაწანწლების საშვალებით, რომდებაც ამ სედობით ჭაბეს იტენიან. აგროვებენ რა უკანასკნელ ნამუსირებს, იძრებენ შინიდგან სასაცელით ნაშონენ გროშებს, რომელიც, კინ იცის, რის კათ კაგდებით და ბლების აუტანელ შრომითაა მოპოვებული, ამათ მიაქვთ ეს ნაოფლარი გროშები სითვლის აქიმბორან და ფერმულებოან, რომდებაც იძღვები მათ წამლის, რომელიც ჩეულებრივ წარმოადგენს ბურნეთზე, ან ცხენის დაჭრილ ძეა—ფაფორზე დაუქნებულ არაუს. ასეთი წამლის მიმდები ახალგაზღიანი, რასაკვარეველია იგზავნებან საკათმეოფებები და ბრძნების შინ, მაგრამ რა სახით? საცელად ახალგაზღია ლამზე შეიღებისა მშობლების თეისდ საუბედუროთ, დებულობენ ცოცხალისადების, რადგნ არ ერთ სახელის არ შეუძლის ამტანოს ეს ჭავოსეთური სასმელი; მსწარულ მიმდინარე ჭლები, გულის ტეივილი და სოფელი კასრები სსეულის უკედა ნაწილებისა—აა რა მოაქეს ამ სასმელის მიღების კაც დწება, რა-

გლოც ცვილი და, ოუმცა თვალისუფლება სამსედ-  
რო სამსახურისაგან, მაგრამ ჭერ კიდევ ღონე-გა-  
უშედებდა და სიუმარისა—დაუსრულებელი ჩადას  
საფლავში.

უპასასენელ ჩემ ზუგდიდში მოგზაურობის  
დროს, ერთი პატივცემული მდგდალისაგან, ჩემდა-  
სამწერლით, მე გავიგა, რომ მან არ ის წლის გან-  
მავლობაში მიწას მიაბარა პოლკიდის დაბრუნებული  
ც ახალგაზრდა სალდათი, რომელსაც დანამ-  
დებიდათ შეუტევდათ. რომ მათი სიკვდილის  
მიზეზი იყო წამლის მიზება. — ნუ თუ უმჯობესია  
სიკვდილი ვალრე 2—3 წლის სამსახური და ხა-  
თუსკების სასისარებლოთ, ჯანსაღია დაბრუნებაში

დარწმუნებული კარ, რომ ახალგაზრდობა მი-  
ხება იმ გრძნობებს, რომელიც ხელმძღვანელო-  
ბებ მე ას ჩემ მისდამი მოწოდებაში — მე მებრა-  
ლება იგი, გამოუცდელი, მნიშვნელი, რომელსაც ბილ-  
წი და უპატიონსნო ადამიანები არეულებენ იმ შახ-  
ნით, რომ ამჟ შეიძინონ. იცოდეთ, რომ არ არის  
ჭარბი სამსახურზე უძაღლესი პატივი, რომლის  
დანიშნულება არის სამშებალო მაწარებლის დაცვა;  
ნუ ენდობით იმ ადამიანებს რომელიც აუცელე-

ბენ სმას სამსახურო სამსახურის საშინეულებზე:  
ტექილა ეს! არაუკრი შრომა არ უნდა ასაღა-  
ზდა, ღრანით საკურ გაცს თრა, სამი წელიწადი  
მისახურის; მაშ ნე მიმართავთ იმ საშალებებს,  
რომელიც მე ზევით დაკასისებული იმათ თქვენთვის  
გი არ მთავრო სარგებლობა, არამედ მათგაც, ვინც  
მათ იძლევა. თქვენ კა მსოფლოდ ზარალი და სან  
და ხეს სიკვდილი.

მწამს, რომ თქვენ დაუჭერებთ კეთილ გო-  
ნიერების სმას, დაიფერებთ, რომ თქვენი სიკვთი-  
სათვისევ გეღაპარებით, რადგან მე თუ არ მწამ-  
დეს ჩემი თქვენიამა მოწოდების ზედგავლენა, მე-  
მებრო. სხვა ზომებისთვის მიმეროთა, — და, თქვენ  
ეს კარგათ იცით; და იმედი მაჭეს, რომ ჭუთასის  
გუბერნიაში სამსახური სამსახურის თვითაც არი-  
დების შემთხვევები იძიათ მოკლესთ გასთებიან.

მამებო და დედებო! თქვენ გთხოვთ, აქ-  
ნით გავლენა თქვენ შეიღები და დამებმართ  
იმ ბატონებას წინაღმდეგ საბრძოლველათ რომ-  
ლებიც გზას უბრუნვენ თქვენი სიბერის ბურკებს  
თქვენ შეიღებს.

6 ივნისი 1911 წ. ქ. ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორი  
ლენინგრად-ლეიტენანტი სლავონისეი.

კანცელლარიის გამგე არხანგელსკი.

## „ნუ გეშინია“.

(რუსული და ხ.)

გაგრძელება\*)

მგზავრი განციფრებული თვალებით შე-  
ცურებდა მოხუცს.

მას არ ეგონა, რომ მას საქმე პეტა-  
შეშლილოთინ არ იქვს.

ის ძირს დაიხარი მისკენ, ჯიბილან ამო-

\*) იხ. „შინ. საქმ.“ გვ. 18.

იღო პურპელი ლვინით და ზეთით და დაუწ.  
ყო მას წყლულების მოწმენდა და შეხვევა.

— ფა, იი, გმალლობ შენ, რომ შენ კი-  
დევ დროზედ მოხვედ ჩემთან, ნელი ხმით ჩერ-  
ჩელებდა და სიხარულით იღიმებოდა ტანჯული.

მგზავრმა ეხლა კი გადაწყვიტა ეკითხა  
მიწაზე გაშელართულისთვის:

„მამა ჩემო, შენ სულები, მე მხოლოდ  
ეს არის ახლო მოველ შენთან. მე შენ არსად  
და არასოდეს წინეთ არ შემხვედრიხია. შე-  
მომხედე მე პირისახეზე. განა შენ წინეთ რო-  
დისმე გინახავის მე?“

—ოჲ ლმერთო ჩემო, ოჲ ქრისტე ჩემო! წარმოსთქვა აღტაცებულის ხმით ცრემლ მო- რეულმა საცოდავმა მოხუცმა — ეს შენა ხარ შენ! მე ყოველთვის და ყოველიფერში გიცნობ შენ! უკანასკნელად შენ მისენ მე შიმშილით სიკვდილისაგან, როცა რომ იმ ნაპირზე, რო- მელზედაც მე ვიწერი, გამორიყე დასკველებუ- ლი მცადის ნატეხი, გუშინ წინ, როცა აკა- ზაკებმა გამტარუვეს მე, უნდოდათ წაერთმიათ ჩემთვის ჩემი უკანასკნელი ქონება — სიცოც- ხლე, შენ უცნობი ცხენოსნების სახით მომე- შველე მე, შემთხვევი ისინი და გაიქცნენ. და, ბოლოს, ახლა, როცა სიკვდილი შეუძრალე- ბელ თვალებით მიკერძოდა მე პირისახეზე და როცა მე უკვე ვგრძნობდი ჩემ მახლობლად ძლიერი ფრთხის ქნევას, შენ, ამ კაცის სა- ხით, ოჲ ჩემო ქრისტე, მოხვედ ჩემთან და შისძნ შე.

არაოდეს ჩვენ გვილევარს ასეთი სიტყვე- ბი არ გაუგონია, და არც ერთი ოდესმე მის მიერ გაგონილი სიტყვები ასეთ წმიდა ჩემულ მარგალიტად არ ჩასახვია მას სულში.

მან შეუხეია ავადმყოფს დაწყლულებული ქრილობები, დაახურა მას თავისი ზევითა ტა- ნისამოსი, ფრთხილად აისვა მხარზე, გადაიყვა- ნა ჩრდილში და წინა დაუგო მას მცირედი საჭმელი.

და, როცა ავადმყოფი დამშვიდდა, რაც უნდა დამართოდა, გადაწყვიტა ეკითხა მის- თვის მნიშვნელობა მის სიღუმლოვან მო- ცულ სიტყვებისა.

და საოცარი საკვირველება მოუთხოვ ბას ნაპოვნმა მოხუცმა.

და გაიგონა მან რაღაც ისეთი, რომელ- მაც ერთხაშად გადაატრიალი ყოველივე მისი ქვეყნიური შეხედულება და გაიგო მან, რომ სამი მეოთხედი მისი არაებობისა მან უკალილ დაკარგა იმის ძებნაში, რაც მისმა მშობლებმა თავის სისულელისა გამო დაფარეს მისგან.

და მან თავის სიცოცხლეში პირველიდ დაიწყო გოდგბა მის მიერ მოსულიერებულ მოხუცის შელავებზე სიბრძლულის და სინა- ნულის ცრემლით წასრულის და მის მიერ ჩა-

დენილი საქმეების გამო და სიხარულის ცრე- მლით ნაპოვნის გამო.

ხოლო მოხუცი უბრალო და არა ბრძნუ- ლი სიტყვებით, რომლებსაც უმტკიცებდა თა- ვისი ცხოვრებაში შემთხვეულ გარემოებებით, მოუთხობდა მას შემდგომს:

— ცხოვრება ბრძოლა კი არა, არამედ გზა არის, გზა უტყუჯრი, აუცილებელი, ფრი- ად საჭირო ჩვენ ყოველთათვის.

ზოგთათვის ეს გზა, მახედულობისამებრ მისი სამსახურისა, არის მშვიდი, წენარი, სასი- სასიხარულო დამშვიდებული.

სხვებთათვის ეს გზა არის გზა განსაცდე- ლისა, მძიმე, სატანჯველი, აუტანელი. ორივე გზა, ისიც, და ესეც კაცისათვის შეიძლება შე- იქმნენ მეტის მეტად ვერაგულნი, თუ რომ კაცი დაივრწყებს, რომ ის არის გაგრძელება იმ დიდი წყარისა, რომელიც როგორც დი- დი მსოფლიო აუზი, რწყავს ამ ცხოვრებას და მასში მცხოვრებლებს.

თუ რომ ის დაივიწყებს, რომ მან რო- გორც წყარომ ამ დიდი აუზისა, უნდა გადუხვევლად იდინოს იქ, სადაც გაყვანილია მისი კალაპოტი და ყოვლის უარის უთქმელით უნდა დაარწყულოს (წყალი ასეის) ყველა, ვინც კი მივა ამ წყაროსათან. როგორც ნავა- დული, ჩამომდინარე მთის მწვერვალიდან მშვენიერ მწვანე ვაკეზე და მერმე უნაყოფუ ქვიშიან უდაბნოში, არ იცვლის არც თავისის გემოს და არც სიმშვერიერეს არც დიღებულ მწვერვალთა მცხოვრებთათვის, არც დაბლობ ვაკეზე მშრომელთათვის და არც უდაბნოში მოგზაურთათვის, — ეგრეთვე კაცმა — ამ ბუნე- ბითმა საუკუნო ლვთაების წყარომ უნდა ერთ- ნაირად ატაროს სჯული ლვთისა თვისი პირო- ვნულ მაგალითთ როგორც მაღალ მდიდრულ მცხოვრებთა შეკებშიაც, ისე თულით პურის მშოვნელ დაბალ ცხოვრების მუშავთა შო- რის, ეგრეთვე შემცილე, ლვთის და მისი წმი- და სჯულის დამვიწყებულთა მდაბალ წრეებში მცხოვრებთა შორისაც.

ხოლო ეს სჯული პევრი არ არის: ის მხოლოდ ორია.

თვით ფართო, თვით ყოვლის შემცველი, თვით ყოველ მხრივი არის სიყვარული ძმისა და მერმე სიყვარული ღვთისა.

და უსათუოდ ყოვლის უწინარეს სიყვარული ძმისა, და მერმე სიყვარული ღვთისა ამიტომ, რომ თუ ძმის სიყვარული არ აქვს კაცს, მას არ შეუძლია იქონიოს ღვთის სიყვარული.

და უკეთუ თვითეული კაცი, როგორც წყარო, როგორც გამყვანი დიდი, მიუწოდებელ მსოფლიო აუზისა — ღვთაებისა, როგორც პირ-დაპირი გაგრძელება თვით ამ ღვთაებისა, სასტიკად აღასრულებს თავის დანიშნულებას წყაროსას, — მისთვის სიცოცხლე, როგორც გამოცდა, როგორც მწვალებელნი მწუხარებანი არ არსებობს.

ის — ღვთაების გაგრძელებაა; ის — ნაწილია თვით ღმერთისა, ის მხოლოდ ანუგეშებს და შეაქვს ცხოვრებაში ბელნიერება, სიხარული და მოსვენება.

ის ყოველ ამ მწუხარებაზე, ცხოვრების ყოველ სიმძიმეზე მაღლა სდგას, იმიტომ, რომ ყოველივე მისია, როგორც ღვთაების ნაწილის, და ყოველივე ეკუთნის მას, ყველაფერზე მეფობს და უფლობს და იმავე დროს არაფერი, სრულიად არაფერი არ უნდა მას: ყველაფერი მისთვის უკრთა, არა ჩვეულებით, და არცა ძვირფასი ქვეყნიურ ცხოვრებაში.

ესეთი უნდა იყოს კაცი თავიდან, მაგრამ ღვთის განგებით იქმნება განდრევილებაც ამ წინათ მოსახრებისაგან.

არიან მდინარენი, არიან ნაკადულნი; არიან მშვენიერნი, განიერნი, ჩქარნი, გამო-მავალნი მდინარენი, და არიან ისეთებიც, რომლებიც ხან გადიდებიან, როგორც ფართო ზღვა-ოკეანი, ხან ისე დაძარარავდებიან, ძლიერ მინოევენ, ხან გაშრებიან, ხან დედა-მიწაში იმალებიან, და მერმე კიდევ სადღაც გამო-ჩნდებიან.

ყოველივე ეს ტყეულიც კი არა, ყველა-ფერს აქვს თავისი დანიშნულება, თავისი კანონები. ესევე შეემთხვევა ზოგიერთ კაცებსაც. შეკრავ-შებოჭავს, განსაცდელში ჩააგდებს

მოქაცვავს წელში გაღუნავს კაცს ცხოვრება სადღა აქვს მაშინ მას მისი თავი, რომ სხვა ანუგეშებს: საჭიროა თავის თავზე იზრუნოს. ამისათვისაც, ჩემო შეილო, ცხოვრება ბრძოლა კა არა, არამედ მხოლოდ ან გამოცდაა, ან გაწმენდაა ან დანიშვნა. ძალიან ხშირადასეთი მდინარე უხვევს იქით აქეთ დანიშნულ გზი-დგნ უხვევს; იმალება, იმალება, შერმე კი უეტრად გაიშლება ლამაზი ფართე სარკესავით წმიდა მოციმციმე მდინარე.

ასეთი კაცების საშველიც მოვიდა ძე ღვთისა — ქრისტე.

და, როცა მოვიდა, მან უთხრა კაცს, რომ მან არაოდეს გონება არ უნდა დაკარგოს ცხოვრებაში ასეთ ღელვის და განსაცდელებს დროს არ შეშინდეს, რომ მას ახსოვდეს, აუცილებლად ახსოვდეს, რომ ქრისტე ყოველთვის მის მახლობლად არის, რომ ის ყოველთვის პირველ გულწრფელ მოწოდებისათანავე მიყა მასთან შესაწევნებლად და არა იუმოაშორებს მას ყოველ გასაჭირს, არა თუ მოეხმარება მას, არამედ კიდეც განამხიარულებს მწუხარება გამოვლილ კაცის სულს და გულს. მხოლოდ საჭიროა, რომ სთხოვოს მას, თვით გასაჭიროს დროს უნდა მოუწოდოს მას და სთხოვოს შეწეობა, აუცილებლად უნდა ატაროს ის თავის გულში, თავის გონებაში.

და მას შეჯძლია მოვიდეს შენდა შესაწევნებლად, უმეტესად ცოცხალ კაცის სახით ნათელ წმიდა სულის, თვისის ღიღებულის აღრჩეულ კაცის სახით.

ის თუნდ ახლა ამ წუთში მე ვიყავ მძიმე გაჭირებული და მე მოუწოდე მას და ის შენში შემოვიდა, შენ გადმოუხვიდ გზიდნ ჩემკენ და გადამარჩინე მე, დააბოლოვა მოხუცმა.

არხიმანდრიანი ნესტორ.

(შემდეგი იქნება).



## კვირილამ-კვირამდე.

ღ. ზ. სარავაშვილის გასკენებაზე დასხატებათ უდ სამღვდელო დეოთხილებ ექსარხოსიანები (რამელიც დღეს ბათუმის ერთ ერთ სააგრძნელო დეგილებში მდეოთები) ტელეგრამით ხება კამთითხოვა თფილისში ჩასვლისა და ახლობელ გარდაცალებულ შირის სევდისა მოსახლეობაზე გარდაცალებულ შირის სევდის მოსახლეობაზე ამაზე მც დამპეშით შემდეგი პასუხი მიიღო რეარსონისათვის. „კერაფირ დამბარეობები მიზეზს კერ კორებ, ხოლო თუ საჭმე შესხეს სარავაშვილის გარენებას, ეს მე მინდობილი მაქვს ბაჭთს კისისკორსა შიმენზე“.

არქიმანდრიტი დასიონელი უკვი მიკვიდა შემოქმედის მონასტერში და შეუდგა მის მართვა კამბებისა. მის ადგილზე თფილისის დარის მონსიტერში წინამდებრობა მიიღო არსიმანდრიტმა ნეტონიმ (სოფიად მდ. ალექსი გიორგაძე).

როგორც გავიგეთ ოკრიბის საბადადობით ლექის ბლანტისი დეპ. ღ. სირბილები ამ თანამდებობას თავს აქცევს, რომ კანტორის შემდგომი მდგრადია აღუძრავს უკვე სათანადო მართულობაში მიმდებარებოდა აღუძრავს უკვე სათანადო მართულობაში.

იმერეთის სამღვდელოების მასის და იქნას ჯამიგირები კერ არ მიუდიათ—მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ კანტორის კერ არ დაუბრუნება ზოგიერთი ქადაღდები, რომელიც აუცილებლათ კონაგირის რამოდენიმე ნაწილის საზიანება დაკავების გამოიწვევენ.

ესდა ქანკეულებია და საქმების განხილვა კანტორიში კუს ნაბიჯით მოდის. ამიტომ შესაბამებელია, რომ სექნებულ ქადაღდებს კიდევ რომ უკაგაანდებს და ამ სნის განმავლობაში საქმედებობის უკამინერთ დატოვება საცოდაო ბაზაა და უსამართლობაც. თუ საქმეს სსეპრ არ გვევავს რა, ურიგო არ აქცევს გამაუღირ გადარიცხებას ესისკონტის დეპოზიტში რამოდენი-

მე მანქოს და დანარჩენს მისცემდენ სამღვდელოებას. ვინ იცის, ვის როგორ უციის! ესდა ზაფხულია და ბეჭის საქმით წელისზე უნდა წასვლა ან ცოდნულის გაგზავნა.

29 იქნის კერთის ქუთაისის საფინანსის სასაფლაოს ეპლესია. ადგილობრივმა მღვდელმა მ. თ. დეგლაძემ დიდი შრომა მიიღო აშენებისთვის, მაგრამ კერ კადეც სარ გატევით ეპლესია დამთავრებულიბრ. ათი ათასშიდე მიცვალებულია ასაფლაკის ხესებულ სასაფლაოზე და ამდენმა მიცვალებულის პატრონებმა ერთი ეპლესის აგება ვნი მოახერხეს!... ამბობენ, ახლო მახლო მცხოვრებლებს სურთ ამ ეპლესის მრევლათ შეარიცხონ.

მოსკოვის მიტროპოლიტის კლადიმერის თაოსინბით სინოდმა დამთავრა ასალი კანონ-პროგრეტის შემუშავება შესახებ იმისა, რომ ბერების ნება კერძებული თავის ქანების ახდერმათ კადაცემისა. კანონ პროგრეტის მიზნებთ აქვს მოსახლეობის და მოქმედი კანონი ამავე საგნის შესახებ, რომელის ძალით შეაიცილო სამღვდელოების, ვინც უნდა იყოს—უბრალო ბერა თუ კაისერპოსი, ქანება ეპუთების იმ მონასტერების ან ეპლესის, სადაც იგი მსახურებდა ან ცხოვრობდა სიკვდილის წის. პროგრეტის ძალით მხოლოდ ბიბლიოთება და სამღვდელო სამოსებით უნდა დარჩეს ეპლესია-მონასტერების სასარგებლოთ. კანონ-პროგრეტი კერ მინისტრთა საბჭოს გადაუცემა, საიდგანაც შემდგა სახელმწიფო სათათბიროში გადაეს.

უდ სამღვდელო იმერეთ. ეპ. გიორგი ცირკულარით აფრითხილებს ბლანტისნებს საგანგებო ზომები ისმართონ მეტრიკულ წიგნების განსუუთებულ წესიერი წარმოებისთვის, როგორც ამას მოითხოვს სინოდის კანტორის დადგინდება, რომელიც მოთავსებულია „საქსარხოსის მაუწებლების“ № 12, რადგან მეტრიკის წიგნი კრიმ უსაჭიროების საბუთა უკავა სამრევლოში მცხოვრებ ბიბლიოთის.

## სოფ. გეგუთი.

(ქუთაისის მაზრა).

12 ივნის მისმა მეუფებამ ეპასკოპოსმა გა-  
ურგობდ დაათვალიერა გაგუთის ეპლესიები, რო-  
მელთაგან ერთი ასლად შენდება. უდი სამღებელის  
მოქრინა ასალი ეპლესის შენობა, და სალის მი-  
მართა სიტყვათ, დაანებონ თავი ურთიერთ შე-  
რის უთხსმობას და შეერთებული ძალით შეუდ-  
გნებ ეპლესის შენობის დასრულების. „უნჯობესი  
არ არისო, უბრძნა უდი სამღებელი გამდგარ  
ბიობებს, რომელიც ეპლესის შენობაში მონაწი-  
ლების მიღებაზე უარი ამბობენ და ჩივან, უ-  
ჭობესი არ არისო, ის ფული და ცდენა რომე-  
ლიც საჩივარში გეხარჯებათ და ეპლესის უცინ-  
დება ჭაბეში თქვენ ეგლესის შესწიროთ“? მი-  
სმა მეუფებამ დახმარება აღუოჭებ ეპლესის მაშე-  
ნებლებს, რამაც იგინი გამხენება, ასე რომ დღეს  
შემ შეუდგნებ შეჩერებულ შენობის განცრძობას

გამდგარი გლეხები მაინც არ ანებებენ თავს  
ჩივილის და დაკიდანას. მათ ამ საქმეში წან  
უძლების გამოჩენილი გემილი მ. დარასკელიძე, რო-  
მელიც უთუოდ ტუეილა არ შრომობს და შესა-  
ჯოვ გემილერ სასიყიდეს დებულობს. ნე თუ მა-  
საც უფლება სამღებელი გიორგისავით არ შე-  
ძლო მამა შვილეური დარიგება მიეცა მომზინებას-  
თვის, რომ ის ფული რომელაც მათ საჩივარში  
დაგეხსავებათ შენობისთვის მოეხმარებათ და სა-  
ზოგადო საქმისთვის, არ ერთდატნით, ასეთი გა-  
ხეობების შეტანის ხადსში კულა უნდა ერთდებო-  
დეს სულ ერთია ოცი კომდი ჩაცი თავისითავაზე ეპლე-  
სის კერძად ააშენების და სულ უფლესითამ კი  
მოუხერხებელია, თუმც შეაძლება, რომ ამაზე პ.  
დარასკელიძე სულ სხეუ აზრისა აყოს. ეპლესისაც  
რომ მოსცემს, მეზობების ხომ მსრ მო-  
ცდებან? რას კმიანება რომათ კომდი კაციდან

ოცი კომდი კაცის გამოთაშეა? იმედი უნდა კი-  
ქონით, რომ ჩვენია განვიდობილი გონი, მოკ-  
ლენ, მის მეუფებას დაუკარებენ, უბრალო ხარჯს  
თავის დაანებებენ და საგვთო და საშილო მუდო  
საქმეში თავის მეზობელ მომენტის არ ჩამოაშორ-  
დებან. ამას მოთხოვთვის ქრისტიანობა და სამრეკ-  
ლოს გამოღდლება.

ბებულები.



ისტორიული დოკუმენტი ისორ შრისტია-  
ნის დილის შესახებ.

ნემეცურ გაზეთის „Stetiner Abend Post“-ის მეორე დამატებაში დაბეჭდილია შემ-  
დები ცნობა: „ამას წინეთ გამოაჩინეს ღილა-  
საყურადღებო ღოუმენტი, რომელიც შეეხება  
ისორ ქრისტეს სიკვდილს. კაზეტტის კაპელ-  
ლაში (in der Capelle von Casetta) იმექ-  
ნება ერთი ფიცარი, რომლის წარწერას დიდი  
მინშენელობა აქვს მთელი საქრისტიანოსათვის  
ეს წარწერა ძველ ებრაულ ენაზე დაწერილი  
და წარმოადგენს მეფის მოადგილის პონტოელ  
პილატეს სასიკვდილო განაჩენს. ფრანციელ პა-  
რიზელ „ხელოვნების საზოგადოების“ თარ-  
გმნით ეს წარწერა ამბობს შემდეგა: „ძვემო  
გალილეის მეფის მოადგილის პონტოელ პი-  
ლატეს განაჩენი, რომელიც ბძანებს, რომ ი-  
სო ნაზარეველმა უნდა იტვირთოს ჯვარზე სი-  
კვდილი.—კეისარ ტიბერიისის მეჩილეტე  
წლის მართელობის დროს, მარტის თვეს 25  
დღეს, საღვთო ქლაქ იერუსალიმში, რომა  
მღვდელმთავრებათ ღვთისა იყვნენ ანნა და კი-  
ათა, პონტოელი პილატე ძვემო გალილეის  
მეფის მოადგილე მჯდომარე საპატიადენტო  
ტაბრზე მიუსვეის იესო ნაზარეველს ჯვარზე

სიკვდილს შორის ორთა ავაზაყთა, რადგან ხალხის დიდი და სარწმუნო მოწმობანი ამბობენ, რომ 1) იქსო მაკოურია (совратитель); 2) იქსო ამჯანყებელია; 3) იქსო მტერია კანონისა; 4) იქსო ტყუილათ უწოდებს თავის თავს ძედ ლვთისათ; 5) იქსო ტყუილათ უწოდებს თავის თავს მეუფედ ისრაელისა; 6) იქსო შევიდა ტაძარში გარშემორტყმული ხალხით, რომელსაც ხელში ბზის რტოები ეჭირა; და უბრძანებს პირველ ცენტრურიონს კორნელი კვირინელს წაიყვანოს იგი სატანჯველ აღგილამდი და უკრძალავს ყველას—მდიდრებს და დარიბებს ხელის შეშლის იქსოს სიკვდილში. იქსოს წინააღმდეგ განჩინებაზე ხელის მომწერნი მოწმენი არიან: 1) დანიელ რობანი, ფარისეველი; 2) იოანე ზარაბაზელი; 3) რაფიელ რობანი; 4) კაპარ, მწიგნობარი. იქსოს გაიყვანებენ ქალაქიდან სარენეს (sârena) პჲით.

ტექსტის გვერდით მიწერილია: „ასეთი ფიცარი ეგზაგნება თითეულ ტომს (მუხლს).



## უადგილო ცილის წამება.

არ მოიდა სახელი დეთისა  
შენისა ამასა ზედა.

კოლხიდის № 47 პ. ცა-ს წერილში შესხებ კო. სიკურ გიმნაზიისა ვეითხულობთ შემდეგ შეუფერებელ და ლვთის საგმობ ადგილს: „ქრისტე რომ წევნ დროში ყოფილიყო ზოგიერთ პედაგოგ აღმრჩდელებს იმ მათრახით ააჭრელებდა, რომლითაც ნან ტაძარში მოვაჭრე ურწმუნოებს ზურგი იუწვა... და ასე გვერნიო პირველით იმ მათრახს კლასიკურ გიმნაზიაში დაატრიულებდა.“

ალექსანდრე მაკედონელი რომ დიდი კაცი იყო, მისთვის სკამები რათ უნდა დავამტკრიოთ? ქუთასის კლასიკურ გიმნაზიაში რომ საზიმოარი საქმე მოხდა ერთისა და მეორეს მხრითაც ეს ყველასათვის აშეარაა, მაგრამ რა შეუშია იქ იქსო ქრისტეზე ცილის წამება? როდის იყო, რომ ი. ქრისტემ მოვაჭრებს ზურგი იუწვა, რომ გიმნაზიაშიც დატრიალებულიყო და იქ მომხდარ ინციდენტის გამომწვევნი გაემათრახებია? და რათ დასჭირდა პ.—ცას ასეთი უადგილო საგმობი სიტყვებით მოქსენებია ღმერთ-კაცი, რომელსაც თითოც არავისთვის შეუხია, არამედ, წინააღმდეგ თკით დაითმინა აუტანელი ცემა, კუპხეა და თვით ჯვარცმაც? სიტყას ბარაქისათვის სხვა რამეც შეეძლო მოეგონებია ავტორს და მორწმუნე აღმიანის რელიგიური გრძნობა დაეჭიფა.

სამწუხაროთ უნდა აღვიაროთ, რომ ეს უვიცობისგანაც წარმოსდგება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ავტორი დარწმუნებულია რომ ცნობილ შემთხვევაში, ტაძრიდან მოვაჭრეთა გამორჩეული დროს, ი. ქრისტემ სცემა ხალხს. შეიძლება ბევრი სხვაც ასე ფიქრობდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. სახარებაში ცხადათ არის ნაჩვენები, რომ ქრისტემ შექმნა მათრახი საბელისა (ბაზრისა), რომ გამოერევა, გამოესხა, როგორც სახარებაში სწერია ზრობა და ცხოვარი (ცხვარი), რომელთაც „გამანდი ბატონოთი“ ვერ გამოდენიდა ვარეთ. ხოლო ხალხი მას არ გაუძევებია ტაძრიდან და მით უფრო არ უცემნია მისთვის, მხოლოდ მეკერმეთა (ფულის დამხურდავებელ ზრაფებს) დაუთხია ტაბლები (მაგიდები) და მტრედის გამსყიდველებს უთხრა: „აღიღეთ ესე აქედან და სახლსა მამისა ჩემისასა ნუ იქმთ სახლ სავაჭროთ.“ ის ყველაფერი რაც იმოქმედა იქსომ მოყვანილ შემთხვევაში, ჩვენი ავტორი კი იურკევსების და მისთანების ზურგის ასაწვავათ და გასამათრახებლათ იწვევს გიმნაზიაში საჭიროა წინდაწინ იცოდე, რაზედაც ლაპარაკობ.

რამდენი ასეთი გადამახინჯებული სახა-  
რების მოთხოვბები თარეშობენ უვიც მწე-  
რალთა შორის, რომლების მეობებით პკით-  
ხველი საზოგადოებაც ცრუ შეხედულებით  
იმსჭედება სახარებაზე და თვით იქსო ქრი-  
სტეზე!..



## მაგის რა ბრალია?

(ფსიხოლოგიური ეტიუდი სგანეთის ცხოვრებიდან).

ეს რომ ამ მდგომარეობაში იყო, ულმო-  
ბული ძმა სასტიკათ ჰყიცხავდა მას და ეუბნე-  
ბოდა: — ახია შენზედ, ახია, შენ შეარცხვინე  
ჰატიოსანი ოჯახი, შეარცხვინე შენი ძმა, ის  
მამა, რომელმაც გამოგზარდა, რომელიც მთელს  
ხევშიდ ჰატიოსნობითა გათქმული, შენ შებრა-  
ლე დედაშენის სხენება, სული, შენ შეარცხვინე  
შენი ძმები, დები, ნათესავები, შემარცხვინე  
მეც, შენი ძმა... რომელიც მთელი  
ოჯახის ჰატიოსნებით ვამაყობდი და რო-  
მელსაც ყველგან დიდი მიღება და სალიმი მქო-  
ნდა, მაგრამ იურიდი, რომ იმიტრითან შენ ჩემი  
და აღარა ხირ და მე შენი ძმა!... რა  
ჰასუხს იძლევ შენს ჰატიოსანს ოჯახს, მოხუ-  
ცებულს მამას! განა იმიტრიდგან შენ ლირსი  
ხარ, იმას მამა დაუძახო! არა, არა...  
ათასჯერ არა. შენ დაპეარგე სამუდმოთ მამა,  
ძმები, დები, ნათესავები და ყოველივე ბედნი-  
ერება! . . . იმ სიტყვებმა ქალს დანასავით  
გაუარეს და მწარეთ დაუსერეს გული; მერე  
შეინძრა, წამოჟყო თვით და მტირალის ხმით

დაიწყო: მტირვალნო, მტირვალნო!... რას მერ-  
ჩიო მე სუსტს არსებას!... ვსთქვათ, დამნაშავე  
ვარ თქვენს წინაშე, ესთქვათ მე შევარცხვინე  
მთელი ოჯახი, მამა ჩე... მი, შევარცხვინე  
თქვენც, ძმები, დები!... მაგრამ ნუ თუ თქვენში  
არ მოიპოვება მტირელდენი ნაპერწკალი ადა-  
მიანის შებრალებისა!? ნუ თუ არა ჰყიქრობთ,  
რომ ამაში ისევ თქვენ, მამაკაცნი ხართ დამნა-  
შავენი! .. განა არ იცით, რომ ამაში ისევ  
თქვენ გედებათ ბრალი!?... სხვა არა იყოს-რა-  
წარმოიდგინეთ ჩემი თავი, როგორც უცხო  
უპატრონო, უცნობი, საწყალი ადამიანი; წარ-  
მოიდგინეთ და ნუ თუ არ შემიბრალებთ მე  
საწყალს მე უბედურს!?... ოს ლმერთო ჩემი!  
ამ სიტყვების შემდეგ ის დაეშვა პირქვე და  
მორთო ქვითინი. ძმა მოშორების, იჯდა და და-  
ფუიქრებული გაჰყურებდა მთებს იმან წარბიც  
არ შეანძრია დის ლაპარაკზედ და ერთხელაც  
არ შეხდა, მისი ფიქრები, გონება სულ სხვა-  
ზედ იყო მიქცეული. ქალს მშობიარობის ტკიი-  
ლმა მოუარა, საწყალი ოხავდა მარ მალ, ხან  
წამოიდგებოდა, ხან გვერდზედ გადაბრუნდე-  
ბოდა და საშინელად იტანჯებოდა. „მაღალო  
ღმერთო! რა დავაშავე ამისთანა, რომ უპატრო-  
ნოთ დამაგდე და ერთი შომვლელიც არა  
მყავს!?... წაიბუტის მან ჩუმათ, და წამოიწია  
ზეზე.“

ამ წვალებაში გაარარა მან რამოდენიმე  
წამი. ამასობაში ტკიილი თანდათან იმატებო-  
და და უძრიელდებოდა; გონება ეკარგებოდა  
და გული უსუსტდებოდა... ჰატარა ხანის შემ-  
დევ გაისმა რაღაც კნავილი. ამ ხმაურობამ ჩა-  
ფუიქრებული ძმა გმოარევია და გადახდა  
დას... ის მიხედა, რაშიაც იყო საქმე,  
თვალი მოარიდა და რამოდენიმე მანძილზედ  
გან შორდა; მას მაშინვე ფერი შეეცალა,  
თვალები დაუსისხლდა გაშმაგებულ ნაღირ-  
სავით, გულმა მალმალ უწყო ცემა და იმა  
იებურძაგლა... კნავილმა თან და თან  
იმარა და ბოლოს კაცი ადვილათ გაარჩევდა;  
რომ ეს ხმა ახლით დაბადებულის ტირილი იყო..  
ძმამ ერთხელ კადევ გადახდა თვის დას,

რომელსაც მუხლებზედ ახლად დაბადებული ეწვინა. დედა ეფერებოდა შეის, თავზედ ხელს უსვამდა და ძონდებში ახვევდა.— მგონია ვაჟია!— თავისთვის წაიბუტბუტა ძმამ, მერმე წამოდგა და ბავშვისაკენ წასვლა დაპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა, ცოტა დაფიქრდა, სახე დაელრიჯა და თავზედ ხელი იტაცა ეტყობოდა, რაღაც სულიერ ბრძოლაში იყო და ჯერ კიდევ ვერ გაერკვა საკითხი. ამ მდგომარეობაში დარჩა ის პატარა ხანი, მერმე ასწაა მაღლა თვით და დას მიუბრუნდა: რატომ უმალ შენ არ გახდი სიკვდილის მსხვერპლი!... დაიყვირა ძმამ და გააქანა დისაკენ. მან ერთი თვალის დახამხამებაში გამოსტაცა ბალლი დედას ხელიდგან და გადაისროლა უფსკრულში, უზარ მაზარ კლის ღრიანკებში, სადაც კაცის თვალი ძლიერ ჩასწედებოდა: მხოლოდ კნავილიდა იყო ბავშვის უკანასკნელი ანდერმი... დედამ ამის დანახვაზედ ერთი მაგრად შეჰქივლა, იტაცა თმაში ხელები და გაპენდა იქითკენ, საითკენაც მისი შეილი გადაისროლა ულმობელმა და შეუბრალებელმა ძმამ... უღმერთო! მაგის რა ბრალია? შვილი! — იყო უკანასკნელი სიტყვები ქალისა ძმისადმი მიმართული. ერთი წუთიც არ გასულა იმ სიტყვების თქმის შემდეგ, რომ საცოდავი დღდა გადაეშვა უფსკრულში საცოდავმა — შვილთან სიკვდილი არჩია და მას გადაჰყა!...

სიჩუმე ჩამოგარდა... ბუნებამ, თითქო ყურიც არ შეიძერტყა ამ ამბავზე, და ისევ იმ შევენიერს სანახაობას წარმოადგენდა... მხოლოდ ღრმ გამოშევით ცივი ქარი დაპეტრავდა ხოლმე და მთის წვერების ახლომახლო მომცურავი ლრებლის ნაჭრებს გაპფინტავდა თითქო განებ, რომ ეს ამბავი მცხოვრებლებთათვის გადაჰყათ

ამ მოულოდნელმა, ზარდამცემმა ამბავშა ძმას გრძნობა დაუკარგა და მთელი სხეული აუკანკალა მღელვაუება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოელო, ფეხები მკეციბოდა... ფერი ხშირათ ეცვლებოდა, დასჩერებოდა მიწას და ხმას არ იღებდა... დროგმოშევებით მას რაღაც იდუმალი ხმა ჩასახოდა, მერმე

ისევ შესწყდებოდა და ვერ გამოეცნო — რა ხმა იყო ეს ხმა, ან ვის ეკუთვნოდა. — უღმერთო, მაგის რა ბრალია! — მოესმა ძმას უფრო გარკვევით. ეხლავი აღილათ გაარჩია, ვის ეკუთვნოდა ეს ხმა და სულიერი ტანჯვისაგან სახე უფრო დაელრიჯა, ამ მდგომარეობაში დაპყო მან რამოდენიმე წამი, შემდეგ უცბათ გაიქნია ხელი და თავისთვის წაიბუტბუტა: თენ-ქიზ! ორი ადამიანის სისხლი არ შეგერგება და გაბრაზებული გაუდგა გზას...

დედა შეილი სამუდაშოდ დაიკარგნენ, მათი გვამი მას შემდეგ კაცის თვალს აღარ უნახავს, ორნივე განცქრენ, ორთავეს ერთი ბედი ეწია... მხოლოდ რამოდენიმე დღის შემლეგ, ამ აღგილებზედ რომ გაგვლოთ შეამჩნევდით, რომ იქ სადაც დედაშვილი დაიღუპნენ, ყორნები მხიარულათ დაფრინვდენ და საზარელი, გულმოსაკლავი ყრანტალი გაპქონდათ!... ვინ იფიქრებდა, რომ ორ საცოდავ ქმნილებას სამშობლო მიწაში დამარხვა არ ელირსებოდა!... რა დააშავეს დედაშვილმა ამისთანა, რომ სამშობლო მიწა-წყალს მოაკლდნენ და ფრინველების საკენკი შეიქმნენ!?!... შენ მაინც, უსუსურო არსებავ! უცოდველო ანგელოზო, რა დანაშაული მიიღოდა ამისთანა!?

შუალამე ახლოვდებოდა ცა ვარსკელავებით მოფენილიყო, მთვარე საქმაოდ ანათებდა და მშევნიერს სახეს აძლევდა სვანეთის მაღალსა და წვრილს კოშკებსა. მდ. ინგურის შესაზარი ღრიალი გაპქონდა და მას ბანს აძლევენ მთები. თოვლით შემოსილი „ვომბა“, მთვარის შუქით განსპეციებული, მშევნიერს სანახაობას წარმოადგენდა, სიამაყით გაღმოპყურებდა დარაჯსავით იქაურობას; სიჩუმე გამეფებულიყო ახლომახლო ტყეებში პირუტყვოთ და მფრინველთ თითქოს შეეწყვიტათ მოძრაობა, მხოლოდ ხანდისხან გამოისმოდა კოტის უშნო ყვირილი... სოფ. მ—ს კიდევ არ ეძინა და მხიარულობდა; ყოველი სახლიდან გაისმოდა ცეკვა — სიზლერ. ეტყობოდა, დღეობა ჰქონდათ. სოფლის განაპიროს იდგა ერთი ლიმაზი კოშკიანი სახლი;

გარს მოდიდო ეზო ჰქონდა შემორტყმული და შიგ სხვადასხვა ხეხილები იდგა. ეზოს ერთს კუთხეში, სახლის მახლობლად, კანაფი ეთესა და გარშემო წენელით იყო შემოყავებული, რათა საქონელს არ დაეზიანებია ნამუშევარი; მეორე კუთხეში ლალჩია (ცალმანგი) იღვა, ამის წინ მოდიდო კალო იყო გადაჭიმული. მის მოშორებით „ლუშხატი“ (სადაც საქონელი ჰყავთ ლამით) იდგა და შიგ რამოდენიმე ხარი, ძროხა, ცხვარი, და სხვა საქონელი ემწყვრია. ყველა თალებიდან ცეკვა-სიმღვრა, ხარხარი, ოხუჯობა და ხმაურობა ისმოდა და მთელს სოფელს ეფინებოდა. მაგრამ ყველაზე მხიარულება სოფელში ამ სახლის მცვიდრთ ეტყობოდათ: ქალების მწყობრი სიმღერა ჰაერს აპობდა და ტებილ მომალენელ ხმებათ სწვდებოდა მსმენელის ყურს ახლო მახლო მთები და ლამაზი კოშკები ბანს აღლებდნ მათ, თოთქო მათთან ერთად მხიარულებაში მონაწილეობას იღებდენ. ამ დროს იმ აღვილას, სადაც „ლალჩია“ იდგა, ყორებულ გამონანდა კაცის ჩრდილი. რომელიც სწრაფათ ჩამოხტა და ამ შენობას მოეფარა. მოვარიანი ლამე იყო და უცნობი როგორც ეტყობოდა, სცდილობდა რამე ნაირად შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ამიტომ ის ხან კედელს მიეკვრებოდა, ხან ჩაჯდებოდა და ხან ერთი იღგილიდგან მეორეზე გადადიოდა.

პატარა ხნის შემდეგ სახლის კარები გაიღო და ერთი კაცი ცალ მხარეზე პურპელ შედგმული უცნობისაკენ გაემართა—აქეთკენ მოდის!—სთქვა თავისთვის უცნობმა, შეიძლება ის არის! რაც უნდა იყვენ იარაღი მზად უნდა ვიქონიო!... ის თუ იქნა. მით უკეთესი!—ამ სიტყვებზე მან იძრო თოფი, შეყუენა ჩახშახზე და მოიმარჯვა მერმე სხვა იარაღი გაისწორა და სული განაბა. პურპელისანი კაცი მიდიოდა სამღერ-სიმღერით და ისეგაიარა უცნობის შახლობლად, რომ ერთიც არ მოუხედია მისკენ, ცოტა რომ გაშორდა უცნობმა წაიპუტებულა ის არ არის სხვაა ვილაც, წყალზედ მიმავალი ეს სთქვა და

და უფრო მიეკრა შენობის კედელს, პატარა ხნის შემდეგ წყალზედ მიმავალი კაცი დარჩეულია იმავე გზით და სიმღერით შევიდა სახლში, „კარგი, რომ ვერ შემამჩნია“ სთქვა უცნობმა თავისთვის, მაგრამ ეხლა კი დროა ჩემი განზრახვის იღსასულებას შეუდგე“ მერმე დაიჩინა, მოიხადა ქუდი და წარმოსთქვა: „მაღალო ღმერთო, მთავარ-ანგელოზო და წმინდა გიორგი! თქვენა ხართ მოწმე, რომ—დედაშვილი ამ კაცის მიზეზით დავლუპჲ და ცოდო ავიკიდე: ამავე მიზეზით მე განვიზრახე მაგ კაცის მოკვლა, რაღაც პატარა ბავშვის სისხლი არ მასვენებს და ყოველთვის მელანდება, თქვენ შემინდევით მე ცოდვილსა!... მერმე სწრაფათ წამოხტა, წალგა წინ, ხანჯალი მოიმარჯვა და სხვა ხმით დაიძახა:

—თენქიზ, ომ თენქიზ! გამოიხედე ერთ ხანს!

რაღაც სახლშიდ ხმაურობა იყო, ამიტომ მას რამოდენჯერმე დაჭირდა დახმაურება, ბოლოს გადმოდგა ვილაც ქალი ლერეფანზედ და ჰკითხა:

—ვინ ხარ, რატომ არ შემობრძანდები?... თათარყანი ვარ, თენგიზის ნახვა მსურს, ფრიალ დიდი საქმე მაქვს, გამოვიდეს. ძალიან კარგი! მაგრამ რატომ არ შემობრძანდებით? წაიბუტებულა ქალმა და შეალო კარები. პატარახანს შემდეგ იმავე დერეფანზედ გამოჩნდა მაღალის ტანის, ზორბა ყმაწვილი კაცი და დაიძახა:

—ლამე მშვიდობისა! სტუმარი ლეთისაა და რატომ არ შემოხვალ? ამ სიტყვებზედ ყმაწვილი კაცი დაეშვა დერეფნის კიბეზედ სტუმრისკენ, ზურაბმა იმასობაშიდ მომარჯვა ხანჯალი, ცოტა უკან დაიწია და შენობის ჩრდილოს მიეფარა; გულმა მაღმალ უწყო ცემა და სახეზედ ცივმა ფერმა გადაჰქირდა. თენგიზი მიუახლოება და გაევარევებული შეეკითხა: ვაუ, ზურაბი არა ხარ? რატომ არ შემოხვალ?

— ზურაბი ვარ და ვიქები, კიდეც და ეს კი  
შენ, ძალლო! სოქეა ზურაბმა და ხანჯალი  
გულში ტარამდის ჩასუა. საწყალმა „მიშველეთ“  
ის დაძახებადა მოასწრო და მაშინვე დაეცა  
ზე. — ეგ კიდევ არაკმარა შენთვის, შე ბორიოტო!  
სოქეა ზურაბმა და დაახალა ზედ გულზე დამბაჩა.  
დამბაჩის გავარდნა და მისი გაქცევა ერთი იყო.  
ხმაურობაზე გამოცვინდნენ სახლიდგან წი-  
ვილ კივილით და შემდეგი სანახობა წარ-  
მოუდგათ; სისხლის მორევში მცურავ  
თენების ხახა დაელო, კისერი მოგრეხოდა,  
ცალი კლავი უკან ქონდა გადაგდებული, უა-

ლი ხელი ჭრილოეაზე მიედო და ფეხები ძალზე  
გაეჭიმა... ზურაბს კი იღუმალი ხმა მაინც კიდევ  
ჩასახოდა: „მაგის რა ბრალია?“

მღვდ. ი მარგარითა.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ ჩვედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეზავა.

## განცხადებანი:

ამაღლების საზოგადოების მამასახლისი ამით აცხადებს, რომ სოფ. ამაღლებაში,  
სადაც ახლა უოგელ კვირას ბაზრობაა, წელიწადში ერთხელ 15 ამ დამლევ მარიო-  
ბისთვის მთავრობის ნებართვით მოხდება საზოგადო ღიღი ბაზრობა.

## იპეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა

ქაფესის მეფუტერეთა საზოგადოების გამოცემა

## თუმცარიდა მეოცეცრეობა.

- აკ. ჭულაპის მიერ შედგენილი, წიგნი დაჯილდოვეულია **ოქროს**
- გენდალით. მიიღება დასაბუქდათ მხოლოდ სამეურნეო ხასიათის განცხა-  
დება. წიგნის დაკვეთა და განცხადების შეკვეთა შეიძლება კავება. მეფუტები  
საჭ. თავმჯდომარის სახელზე. (უფილისი, ბაქოს ქუჩა № 6, თავ. პლატონ  
მის. ლორთქითანიძესთან). წიგნის ფასი ცალკე იქნება გამოცხადებული..

# სამხატვრო სახელოსნი

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისის ში.

დებულობს უფლიბარ სამხატვრო-საეკლესით სამუშავების. ასრულებს დოზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერნათ.

ფისები ნახატების დანსკაზე და ზომაზე დამთვადებული და უფლიბ შემთხვევაში საშუალოა. სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სოხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარად-რეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვ-ბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩგენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უფლიბსამდგდელთ და მთავრობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწოდება.

ადრესი: „შინაური საქმების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

## „შინაური საქმეების“-ს რედაქციაში იყიდება:

კლირვის უფლებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (ვედომოსი) წლიური საბლოობინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „მთაბის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწყევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გაითიგზავნოს შემდეგი ადრესით: ქუთაისი, Правление религиозно-просветительного „братства“.

Ольденбургская д. № 5.